P-ISSN 1987-7668 / E-ISSN 2720-782X
https://doi.org/10.60131/jlaw.1.2025.9287
ლიცენზია: CC BY-SA

ნინო მონასელიძე*

პერსონალური მონაცემების სახიფათო გავრცელება და თანმდევი სამართლებრივი შედეგები

ბოლო წლებში მსოფლიო მასშტაბით სოციალურ ქსელებში იმატა „სიძულვილის ენამ“ და აგრესიამ, რომელთაც ხშირად თან ერთვის კონკრეტული პირის პირადი მონაცემები და ფაქტობრივად წარმოშობენ შემაშფოთებელ ფენომენს მშვიდობიან საზოგადოებაში. საქართველოს 2024-2025 წლების აქციების მიმდინარეობისას ვრცელდებოდა როგორც სამართალდამცავი ორგანოების, ასევე სამოქალაქო აქტივისტების მხრიდან არასასურველი, საწინააღმდეგო აზრის პირთა ფოტოები, ვინაობები, საცხოვრებელი მისამართები დაფარულ და ღია ჩატებში პირთა დაშინების, შევიწროების განზრახვით.[1] რამაც ხელი შეუწყო ამ პირებზე როგორც ფიზიკურ, ასევე სოციალურ ქსელებში თავდასხმას. გამავრცელებელის ქმედება (ვინაიდან მეტწილად გავრცელებული ინფორმაციები პირთა საჯარო მონაცემებს წარმოადგენდა, რომელთა გავრცელებაც საქართველოს კანონდმებლობით არ ისჯება), სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების ფარგლებს გარეშე დარჩა. საქართველოს კანონმდებლობაში აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვა შესაძლებელია გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის §126a StGB-ზე დაყრდნობით, რომელიც სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად იქნა შექმნილი 2021 წელს.

საკვანძო სიტყვები: *საზოგადოებრივი მშვიდობა, პერსონალური მონაცემები, მონაცემების გავრცელება, მტრების სიები, სიძულვილის ენა.*

1. შესავალი

2021 წელს გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში (StGB) ძალაში შევიდა ახალი ნორმა 126a StGB პერსონალური მონაცემების სახიფათო გავრცელების შესახებ. ამ ნორმით საჯარო და არასაჯარო პირადი ინფორმაციის გავრცელება დაზარალებულის ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირის პოტენციურ საფრთხეში ჩაგდების მიზნით გახდა დასჯადი[2] და ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის შემთხვევაში ორ წლამდე ხოლო არა საჯარო ინფორმაციის შემთხვევაში 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.[3] ეს მუხლი ამოქმედდა კანონით, რომელიც ცვლილებებს ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსში, რათა გაუმჯობესდეს სისხლის სამართლის დაცვა ე.წ. „მტრის სიებისგან“. ამ რეგულაციის მიზანია საზოგადოებრივი მშვიდობის, ზოგადი სამართლებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მოსახლეობის უსაფრთხოების განცდის დაცვა პერსონალური მონაცემების სახიფათო გავრცელებით გამოწვეული მოსალოდნელი დარღვევებისგან.[4] ეს ცვლილება ეხმაურება მტრების სიების გავრცელების მზარდობას სოციალურ ქსელებში, ამის შედეგად გაზრდილ დანაშაულების რაოდენობას და ადამიანებში გამოწვეულ მღელვარებას, რომელიც არა მხოლოდ ქმნის ინდივიდუალური უსაფრთხოების რისკებს, არამედ გავლენას ახდენს სოციალურ თანაცხოვრებაზე.[5]

---

* სამართლის მაგისტრი (LL.M), პოტსდამის უნივერსიტეტი.

1 <https://mtavari.tv/news/171574-aktsiis-darbevashi-monacile-modzalade> [25.06.2025].

2 *Fischer T.,* Strafgesetzbuch, 71. Aufl. 2024, §126a Rn. 4.

3 *Rackow P.,* in Heintschel-Heinegg/Kudlich, BeckOK StGB 61. Aufl. 2024, §126a Rn.11.

4 BT-Drs 19/28768, S. 8.

5 *Patz J.,* KriPoZ 4, 2021, 223; *Hestermann T., Hoven E., Autenrieth M.,* KriPoZ 4, 2021, 204.

2. §126a StGB-ის სამართლებრივი განმარტება

126a StGB მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ეხება პირველ რიგში საჯარო პერსონალური მონაცემების გავრცელებას და მოიცავს ასეთი მონაცემების გავრცელების ნებისმიერ ფორმას, თუნდაც ეს ეხებოდეს მხოლოდ ერთი პირის მონაცემებს.[6] შესაბამისად ამ მუხლის ფარგლებში ექცევა არამარტო „მტრების სიების" გავრცელება, არამედ დოქსინგიც.

მტრების სიების შეგროვება ხშირად გამოყენებული სტრატეგიაა პოლიტიკურად ორიენტირებული ჯგუფების მიერ,[7] რომელთა ანტიდემოკრატიული პროგრამის ნაწილია პოლიტიკური, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჟურნალისტიკის წრეებიდან არასასურველი პირების, „ოპონენტებისა" და „მოღალატეების" დაშინება და მათ წინააღმდეგ დანაშაულის წაქეზება[8] ირიბი თუ პირდაპირი მუქარის საშუალებით. მაგ: მინიშნებებით იმის შესახებ, რომ მოცემულ პირს საჭიროა „ეწვიოს სტუმარი" ან რომ „მიზანშეწონილი იქნება ამ პირთან დაკავშირებით რაიმეს მოფიქრება ანდა მისთვის ჭკუის სწავლება".[9]

ამგვარი ირიბი მუქარები ქმნიან რეალურ საფრთხეებს როგორც ონლაინ, ასევე რეალურ სამყაროში, დაწყებული მუქარის წერილების მიღებით დამთავრებული სიცოცხლისთვის საშიში თავდასხმებით.[10] განსაკუთრებით დაზარალებულებს აშინებთ დამნაშავეების გამოჩენის შესაძლებლობა მათ პირად საცხოვრებელ ადგილას,[11] რის გამოც თავს იზღუდავენ თავისუფლად გადაადგილებაში. ამავდროულად საზოგადოების სხვა წევრები დაზარალებულებთან ერთად მიმართავენ თვითცენზურას, აღარ გამოხატავენ თავისუფლად აზრს, რათა არ გახდნენ შემდეგი სამიზნეები. ყოველივე კი ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას აფერხებს.[12]

ამერიკულენოვან სამყაროში მსგავსი ფენომენი ცნობილია, როგორც „დოქსინგი", რაც გულისხმობს პერსონალური მონაცემების მიზანმიმართულ შეგროვებას და გამოქვეყნებას დაინტერესებული პირის საჯაროდ შერცხვენის, მუქარის, ზიანის,[13] მასიური კრიტიკისა ან შეურაცხყოფის მიყენების განზრახვით.[14] დამნაშავეების სამიზნეები ხშირად არიან ყოფილი პარტნიორები, კოლეგები ან ადამიანები, რომლებიც მათ სოციალურ მედიაში გაიცნეს.[15]

2.1. დაცული სამართლებრივი სიკეთე – საზოგადოებრივი მშვიდობა

ტერმინი „საზოგადოებრივი მშვიდობა" მოიცავს როგორც ზოგადსამართლებრივ უსაფრთხოებას და მოქალაქეთა მშვიდობიან თანაცხოვრებას, ასევე მოსახლეობის ნდობას ამ მდგომარეობის მუდმივობის მიმართ და უსაფრთხოების განცდას, რომელთაც გავრცელებუ-

---

6 *Eisele J.,* in Klass/Momsen/Wybitul, Datenschutzsanktionenrecht, Aufl. 2023, §9 Rn. 6.
7 *Patz J.,* KriPoZ 4, 2021, 223.
8 Referentenentwurf des BMJV, S. 4; *Gerhold S.,* in Schumann/Mosbacher/König, NK-Medienstrafrecht, Aufl. 2023, §126a Rn. 3; BT-Drs. 19/28678, S. 2.
9 BT-Drs. 19/28678, S. 1; *Heckmann D.,* in Stern/Sodan/Möstl, Staatsrecht II, Aufl. 2022, §102 Rn. 90, 91.
10 *Korenke C., Kühne M.,* NK 2022, 457, 462; *Kubiciel M.,* Stellugnahme, S. 3.
11 BT-Drs 19/28768, S. 8.
12 VBRG, Stellungnahme, S. 1; Deutscher Bundestag Feindeslisten nach §126a.
13 *Woerlein A., H,* MMR-Aktuell 2024, 1437.
14 *Kubiciel M., Großmann S.,* NJW 2019, 1050.
15 *Kubiciel M.*, Stellugnahme, S. 3.

ლი „მტრების სიები“ არყევენ.[16] ნორმის მეორადი დაცვის ობიექტი არის დაზარალებულების, მათი ოჯახის წევრების, ახლობელი პირების ინდივიდუალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი დაცვა დანაშაულის მსხვერპლად გახდომის საფრთხისგან.[17]

2.2. ობიექტური დანაშაულის შემადგენლობა

ძირითადი დანაშაულის შემადგენლობა მოითხოვს, რომ მესამე პირის პერსონალური მონაცემები, საჯარო შეკრების მეშვეობით ან სხვა ხერხით თუ ფორმით ფართოდ გავრცელდეს თვით დაზარალებულის ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირის პოტენციურ საფრთხეში ჩაგდების მიზნით.[18] Ex-ante (წინასწარ შეფასების) პოზიციიდან აბსტრაქტული საფრთხის დანაშაულის დასადგენად საკმარისია ზიანის პოტენციური შესაძლებლობა.[19] საფრთხე შეიძლება გამოიხატოს პირის მიმართ ჩადენილ დანაშაულში ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში, რომელიც მიმართულია სექსუალური თვითგამორკვევის, ფიზიკური ხელშეუხებლობის, პირადი თავისუფლების ან მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნივთის წინააღმდეგ.[20]

2.2.1. დანაშაულის ობიექტი §126a პირველი პუნქტით არის საჯაროდ ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემები, რომლებიც ნებისმიერი პირისთვის ძალისხმევის გარეშე ადვილად მოსაპოვებელია. მაგ: სახელები, დაბადების თარიღები, საცხოვრებელი მისამართები თუ ელფოსტა.[21]

ამ მუხლის მეორე პუნქტის (კვალიფიკაციის) დანაშაულის ობიექტია არასაჯარო მონაცემები, რომელთა ხელმისაწვდომობა დაცულია წვდომის შეზღუდვებით, შიდა უწყებრივი ინფორმაციით ან პაროლით. ინფორმაცია არასაჯაროა მაშინაც, როდესაც დაცვა გატეხილია და მონაცემებზე დამნაშავეს ან მესამე პირებს უკანონოდ მიუწვდებათ ხელი.[22]

2.2.2. ქმედება მდგომარეობს პერსონალური მონაცემების გავრცელებაში. ტერმინი „გავრცელება“ გულისხმობს ნებისმიერი ფორმით მონაცემების გადაცემას ადმიანთა ფართო, განუსაზღვრელი ჯგუფისათვის,[23] სადაც გამავრცელებელი ინფორამციაზე კონტროლს კარგავს. მაგ: სტრიმინგის, შეტყობინებების, ფაქსის, SMS-ის თუ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.[24] მონაცემების გავრცელება კერძო გარემოში ან მცირე რაოდენობის დახურულ მომხმარებელთა ჯგუფში არ ექვემდებარება დანაშაულის შემადგენლობას,[25] მანამ, სანამ ინფორმაციის კონტროლი შესაძლებელია.[26]

---

16 *Eisele J.,* in Klass/Momsen/Wybitul, Datenschutzsanktionenrecht, Aufl. 2023, §9 Rn. 4.

17 *Fischer T.,* Strafgesetzbuch, 71. Aufl. 2024, §126a Rn. 3; *Heger M., in* Lackner/Kühl/Heger, StGB 30. Aufl. 2023, §126a Rn. 1-9; BT-Drs. 19/28678, S. 8.

18 *Fischer T.,* Strafgesetzbuch, 71. Aufl. 2024, §126a Rn. 4.

19 *Werner, R.,* in Weber Rechtswörterbuch, Gefährdungsdelikt, Gefährdendes Verbreiten personenbezogener Daten, 32. Ed. 2024.

20 *Gerhold S.,* in Schumann/Mosbacher/König, NK- Medienstrafrecht, Aufl.2023, §126a Rn. 7.

21 *Korenke C., Kühne M.,* NK 2022, 457, 460.

22 *Fischer T.,* Strafgesetzbuch 71. Aufl. 2024, §126a Rn. 17.

23 *Gerhold S.,* in Schumann/Mosbacher/König, NK-Medienstrafrecht, Aufl.2023, §126a Rn. 8-11; *Eisele J.,* in *Klass/Momsen/Wybitul*, Datenschutzsanktionenrecht, Aufl. 2023, §9 Rn. 10.

24 *Eisele J.,* in Klass/Momsen/Wybitul, Datenschutzsanktionenrecht, Aufl. 2023, §9 Rn. 12.

25 *Fischer T.,* Strafgesetzbuch, 71. Aufl. 2024, §126a Rn. 6.

26 *Heger M., in* Lackner/Kühl/Heger, 30. Aufl. 2023, StGB §126a Rn. 3.

2.2.3. საფრთხის დადგენის ობიექტური ნიშნები არის „შესაბამისობა“ და „ნამდვილობა“, რაც ნიშნავს, რომ საფრთხის დადგენის დროს მხოლოდ გავრცელების მომენტში არსებული ობიექტური ფაქტორები იქნება გათვალისწინებული.[27] შემდგომში გამოვლენილი გარემოებები, როგორიცაა მონაცემების გამოყენება მესამე პირების მიერ დანაშაულებრივი ქმედებისთვის, დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს.[28] ობიექტური ნიშნების შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ საფრთხის შექმნის მაღალუნარიანობას ავლენს დემონსტრაციები, ექსტრემისტული შინაარსის ვებსაიტები, კავშირები არაკონსტიტუციურ დაჯგუფებებთან, ავტორის ანონიმურობა და სხვა სარისკო კონტექსტები და გარემოებები.[29]

2.3. სუბიექტური დანაშაულის შემადგენლობა

§126a-ს სუბიექტური შემადგენლობის დასაკმაყოფილებლად საკმარისია მეორე ხარისხის არაპირდაპირი განზრახვა (dolus eventualis). რაც ნიშნავს, რომ დამნაშავეს არ მოეთხოვება კონკრეტული წარმოდგენის ქონა, თუ ვინ და რა სახის დანაშაულს ჩაიდენს მის მიერ გავრცელებული კონკრეტული პირის მონაცემებით. საკმარისია, ის სერიოზულად შესაძლებლად მიიჩნევდეს სავარაუდო დანაშაულის შედეგის დადგომას,[30] რომელიც მიმართულია მონაცემების მესაკუთრის ან მასთან დაკავშირებული პირის ინდივიდუალურ უფლებებზე.[31] გამონაკლისია დამდგარი საფრთხეები, რომლებიც სრულიად სცდება დამნაშავის წარმოდგენას.[32]

აღნიშნული განზრახვის დამტკიცება საჯარო ინფორმაციის გავრცელების შემთხვევისას დიდ სირთულეს წარმოადგენს.[33] კერძოდ, სირთულე მდგომარეობს ინფომაციის გავრცელებით საფრთხის შექმნის შესაფერისობის დადგენაში, რომელიც ex-post (შემდგომი შეფასებით) წყდება.[34] ეს ნიშნავს, რომ პრინციპი, რომლის მიხედვითაც dolus eventualis განზრახვა უნდა არსებობდეს უკვე ქმედების შესრულების მომენტში, დგება გამოწვევის წინაშე, რომ გამოირიცხოს ის ასპექტები, რომლებიც დამნაშავეს ვეღარ ექვემდებარება და ფაქტობრივად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის ქმედებაზე სამართლებრივი შეფასების დროს.[35] ამ დილემის დაძლევის მიზნით, სასამართლოებს ევალებათ უზრუნველყონ, რომ განზრახვა დამტკიცდეს ქმედების შესრულების მომენტში, დამოუკიდებლად იმ მოვლენებისა, რომლებიც დამნაშავის კონტროლს მიღმაა. მაგ: პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საფრთხეზე.[36]

2.4. ქმედების გამორიცხვა

§126a -ს დებულებები არ ვრცელდება მაშინ, როცა ინფორმაციის გავრცელება ემსახურება მოქალაქეების ინფორმირებას, ანტიკონსტიტუციური მისწრაფებების გამოააშკარავე-

---

27 *Eschelbac,R.,* in Kindhäuser/Neumann/Paeffgen, NK-StGB, Aufl. 2023, §126a Rn. 18-22; BT Drs. 19/3115.
28 *Eisele J.,* in Klass/Momsen/Wybitul, Datenschutzsanktionenrecht, Aufl. 2023, §9 Rn. 15.
29 BT-Drs. 19/28678, 11; *Gerhold S.,* in Schumann/Mosbacher/König, NK- Medienstrafrecht, Aufl.2023, §126a Rn. 18.
30 *Basar E.,* Stellungnahme, S 7.
31 *Zimmerman F.,* in Satzger/Schluckebier/Werner, StGB-Kommentar, 3. Aufl.2023, §126a, Rn. 19.
32 *Fischer T.,* Strafgesetzbuch, 71. Aufl. 2024, §126a Rn. 12.
33 *Lohse K.*, Stellungnahme, S. 4.
34 *Grözinger A.,* in Müller/Schlothauer/Knauer, MAH, 3. Aufl.2022, §50 Rn. 111-113.
35 *Golla S.,* Stellungnahme, S. 2.
36 *Lohse K.*, Stellungnahme, S. 4.

ბას, ხელოვნებას ან მეცნიერებას, კვლევას ან სწავლებას, თანამედროვე მოვლენებზე ან ისტორიულ მოვლენებზე ანგარიშის წარდგენას ან მსგავს მიზნებს.[37] ამ პუნქტის არსებობა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისთვის მნიშვლელოვანია, რათა შეუფერხებლად, სასჯელის შიშის გარეშე[38] შეძლონ ექსტერემისტული დაჯგუფებების და მათი მიზნების გამოვლენისთვის ჩატარებული საგამოძიებო საქმიანობის შედეგების გამოქვეყნება, მათ შორის მათი ვინაობისაც.[39]

2.5. მართლსაწინააღმდეგობა

ზოგადად, მართლწინააღმდეგობის საკითხი უმეტესად ცალსახად მართლსაწინააღმდეგოდ განისაზღვრება მაშინაც კი, თუ დამნაშავე ქმედებას თავისი შეხედულებით უსაფრთხოების დაცვის მიზნით ჩადის, ვინაიდან სიაში შეყვანილი პირებისგან უშუალო საფრთხე არ მომდინარეობს, რომელიც დაუყოვნებლივ რეაგირებას გაამართლებდა. ამასთანავე ქმედება რჩება დასჯადი მიუხედავად პირის თანხმობისა პირადი ინფორმაციის გავრცელების შესახებ თუ ის საზოგადოებრივი უსაფრთხოების განცდას ასუსტებს.[40] განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც იგი შეიცავს მუქარის ან ირიბი მოწოდების ელემენტებს.[41]

3. §126a StGB-ის სამართლებრივი გამოწვევები

3.1. აზრის გამოხატვისა და მედიის თავისუფლების შეზღუდვა

ამ კანონის მიზანი არის პოლიტიკური ოპონენტების დაშინებისა და მათ წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისგან დაცვა. თუმცაღა, ამ განზრახვას შესაძლოა არასასურველი გავლენა ჰქონდეს პოლიტიკური დისკუსიის კლიმატზე და თავისუფალი აზრის ფორმირებაზე.[42] სირთულეს წარმოადგენს საზღვრების დადგენა გერმანიის ძირითადი კანონის მეხუთე და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მეათე მუხლებით დაცული აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და იმ შეზღუდვებს შორის, რომლებიც §126a StGB-ის მიხედვით არის დაწესებული.[43] შესაბამისად კონკრეტული შემთხვევების შეფასებისას უნდა მოხდეს აწონვა სამართლებრივ სიკეთეებს შორის. აქვე საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ თავად შინაარსი აზრის არ შეიძლება აიკრძალოს, არამედ შეზღუდვა შეიძლება შეეხოს მის გამოხატვის ფორმას და საშუალებას, რომელიც შეიცავს სამართალდარღვევის ნიშნებს. შესაბამისად, გადადის იმ ზღვარს, რაც იწვევს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას.[44]

ამას გარდა, მიუხედავად ქმედების გამორიცხვის დათქმისა, კანონის შესაძლო შედეგებმა შეიძლება გამოიწვიოს ჟურნალისტებისა და აქტივისტების თვითცენზურა. ამგვარმა „მომადუნებელმა ეფექტებმა“ (chilling effects) სავარაუდოა შეაფერხოს მნიშვნელოვანი პუბლიკაციების გავრცელება და ჟურნალისტური გამოძიებები, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის აუცილებელია.[45]

---

[37] *Gerhold S.,* in Schumann/Mosbacher/König, NK-Medienstrafrecht, Aufl. 2023, §126a Rn. 23.
[38] *Eisele J.,* in Klass/Momsen/Wybitul, Datenschutzsanktionenrecht, Aufl. 2023, §9 Rn. 24.
[39] BT-Drs 19/29638, 12; DRB, Stellungnahme, S.1.
[40] *Eisele J.,* in Klass/Momsen/Wybitul, Datenschutzsanktionenrecht, Aufl. 2023, §9 Rn. 4.
[41] *Zimmerman F.,* in Satzger/Schluckebier/Werner, StGB-Kommentar, 3. Aufl.2023, §126a, Rn. 20.
[42] *Golla S.,* Stellungnahme, S. 2; DRB, Stellungnahme, S.2.
[43] *Lohse K.,* Stellungnahme, S. 5; DRB, Stellungnahme, S. 2.
[44] BT Drs. 19/30943 S.2; *Lohse K.,* Stellungnahme, S. 5.
[45] *Golla S.,* Stellungnahme, S. 2; Aus der Zivilgesellschaft, Stellungnahme, S. 5.

3.2. §126a StGB-ს გამოწვევები გამოძიების დროს

ე.წ. „ონლაინ პატრულირების“ გზით ფედერალური მიწების მუდმივი საგამოძიებო ჯგუფები თავად ეძებენ გამოძიებას დაქვემდებარებულ კონტენტს ინტერნეტში.[46] მიუხედავად მათი ძალისხმევისა, დანაშაულის შემცველი ფაქტების გამოძიებისა დიდი რაოდენობა დანაშაულებისა გაუხსნელი რჩება.[47] გამოძიებისთვის მთავარ სირთულეს წარმოადგენს დამნაშავეების ანონიმურობა, მათ მიერ გამოყენებული ფეიკ-ანგარიშები და რთული სერვერული სტრუქტურები,[48] როგორიცაა TOR, Grauzonen-Hosting და VPN-ი. ეს პროგრამები ადამიანებს საშუალებას აძლევენ რეგულარულად, დროის მოკლე პერიოდში, შეიცვალონ IP-მისამართები, დაფარონ ვინაობა და ფიზიკური ადგილმდებარეობა.[49] ეს ტექნიკები ართულებს არამარტო დამნაშავეების იდენტიფიკაციას, სისხლისსამართლებრივ დევნასა და რელევანტური მტკიცებულებების მოპოვებას, არამედ ინფორმაციის აღრიცხვასა და შეფასებას.[50] ამ სირთულეების გათვალისწინებით,ფედერალური კრიმინალური პოლიციის სამსახური (BKA) ითხოვს საკანონმდებლო რეგულაციებს, რომლებიც განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაძლებელს გახდის TOR-პლატფორმის მომხმარებლების დეანონიმიზაციას.[51]

ამასთანავე პრობლემას წარმოადგენს უცხოური სერვერებიდან გავრცელებული ინფორმაციები, ვინადან საერთაშორისო დონეზე შეზღუდულად ვრცელდება ევროპული კანონმდებლობის მოქმედების სფერო.[52] ამის მაგალითია რასისტული ორგანიზაციის შემთხვევა აშშ-დან, რომლის მონაცემებიც ჩინეთში მდებარე სერვერის მეშვეობით ვრცელდებოდა და გერმანიაში ნეონაცისტების მიერ გამოიყენებოდა.[53]

3.3. არასაკმარისი ინფორმირება

„მტრების სიებში“ მოხსენიებულ პირთა ინფორმირების შესახებ BKA-ს არ გააჩნია ერთიანი სტრატეგია, როდის და რა ფორმით უნდა მიეწოდოს დაზარალებულ პირებს ინფორმაცია.[54] ზოგიერთი მიწა, ჰესენი და ტურინგენი, აქტიურად მოქმედებენ და დაზარალებულ პირებს ინფორმაციას აწვდიან, მაშინ, როდესაც სხვა მიწები, ამ გადაწყვეტილებას ადგილობრივი პოლიციის სამსახურებს უტოვებენ. შედეგად ხშირად პირები საერთოდ არ ან დაგვიანებით იღებენ ინფორმაციას. შესაბამისად, ისინი კარგავენ შესაძლებლობას, დროულად მიიღონ თავდაცვის ზომები და ხშირად რჩებიან დაუცველნი.[55]

4. დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა, განსაკუთრებით 2024–2025 წლებში, პირების პირადი მონაცემების მზარდი გავრცელების შედეგად გაზრდილი დაშინების, შევიწროებისა და ფიზი-

---

46 *Patz J.,* KriPoZ 4 | 2021, S. 223, 229.
47 Polizeiliche Kriminalstatistik Straftatenkatalog 2023, S. 53.
48 *Wuttke S.,* Stellungnahme, S. 5.
49 *Ceffinato T.,* JuS 2020, S. 495
50 *Wuttke S.,* Stellungnahme, S. 5.
51 *Thiesen M.,* MMR 2014, S. 803, 808.
52 *Deusch F./Eggendorfer T.,* in Taeger/Pohle, ComputerR-HdB, 50.1 IT-Sicherheit, Rn. 272, 279, 280a.
53 DJG, Stellungnahme, S. 2; *Patz J.,* KriPoZ 4 | 2021, S. 223, 226.
54 BT-Drs. 19/3628, S. 4.
55 VBRG, Stellungnahme, S. 3

კური ძალადობის ფაქტების ფონზე, საჭიროებს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოების შექმნას. ამ კონტექსტში, გერმანულ სამართალში გათვალისწინებული §126a StGB წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს, პირის საჯარო პერსონალური მონაცემების გავრცელებით საფრთხის შექმნის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელს უწყობს საზოგადოებრივი მშვიდობის დაცვას. მიუხედავად ამისა, საჭიროა განისაზღვროს ზღვარი გამოხატვის თავისუფლებასა და დასჯად ქმედებებს შორის, რათა გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ჟურნალისტურ საქმიანობასა და გამოხატვის თავისუფლებაზე მინუმუმამდე იყოს დაყვანილი. ამავდროულად, დასახული მიზნის მისაღწევად უსაფრთხოების უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის დაცვის რეგულაციების ეფექტიანი გამოყენება და დროულად აცნობონ დაზარალებულ პირებს პოტენციური საფრთხეების შესახებ. რათა მათ ჰქონდეთ საფრთხის შეფასებისა და თავდაცვითი ზომების მიღების შესაძლებლობა.

ბიბლიოგრაფია:

1. Aus der Zivilgesellschaft, Stellungnahme, zu dem Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten.
2. Deutscher Bundestag Gesetzentwurf der Bundesregierung, Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten.
3. Deutscher Bundestag Stellungnahme des Bundesrates und Gegenäußerung der Bundesregierung.
4. Deutscher Bundestag Aktueller Begriff, Der strafrechtliche Schutz gegen sog. Feindeslisten nach §126a StGB.
5. Deutscher Bundestag Antrag 19/28768.
6. Deutscher Bundestag Antwort der Bundesregierung 19/3628.
7. Deutscher Bundestag Beschlussempfehlung 19/30943.
8. Deutscher Bundestag Kleine Anfrage 19/3115.
9. Deutscher Richterbund (DRB) Stellungnahme zu einer Formulierungshilfe des BMJV für den Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten.
10. Deutsche Justizgewerkschaft (DJG) Stellungnahme Formulierungshilfe des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz, Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten.
11. *Basar E.,* Stellungnahme zum Gesetzesentwurf der Bundesregierung: Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten, Drucksache 19/28678.
12. *Ceffinato T.,* Hate Speech zwischen Ehrverletzungsdelikten und Meinungsfreiheit JuS 2020, Heft 6, 495.
13. *Deusch F., Eggendorfer T.,* 50.1 IT-Sicherheit in Taeger, Jürgen/Pohle, Jan *Computerrechts-Handbuch*, 39. EL April 2024, Verlag C.H.Beck oHG, München.
14. *Eisele J.,* §9 Gefährdendes Verbreiten des personenbezogener Daten (§126a StGB) in Klass, Arne/Momsen, Carsten/Wybitul, Tim *Datenschutzsanktionenrecht, Handbuch für Unternehmens- und Anwaltspraxis*, 1. Auflage 2023. C.H.Beck oHG, München.
15. *Eschelbach R.,* §126a in Kindhäuser, Urs/Neumann, Ulfrid/Paeffgen, Hans-Ulrich/Saliger, Frank: *Strafgesetzbuch*, 6. Auflage 2023, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden.
16. *Fischer T., Strafgesetzbuch mit Nebengesetzen*, §126a, 71. Auflage 2024, Verlag C.H.Beck, München.
17. *Gerhold S.,* §126a in Schumann, Heribert/Mosbacher, Andreas/König, Stefan *NomosKommentar Medienstrafrecht*, 1. Auflage 2023, © Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden.

18. *Golla S.,* Stellungnahme zu dem Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten, BT-Drs. 19/28678.
19. *Grözinger A.,* §50 in Müller, Eckhart/Schlothauer, Reinhold/Knauer, Christoph: *Münchener Anwaltshandbuch Strafverteidigung*, 3. Auflage 2022, Verlag C.H.Beck oHG, München.
20. *Heckmann D.,* §102 in Stern, Klaus/Sodan, Helge/Möstl, Markus: *Das Staatsrecht der Bundesrepublik Deutschland im europäischen Staatenverbund*, 2. Auflage 2022, Verlag C.H.Beck oHG, München.
21. *Heger M.,* §126a in Lackner, Karl/Kühl, Kristian/Heger, Martin: *Strafgesetzbuch*, 30. Auflage 2023, Verlag C.H.Beck oHG, München.
22. *Hestermann T., Hoven E., Autenrieth M.,* "Eine Bombe, und alles ist wieder in Ordnung": Eine Analyse von Hasskommentaren auf Facebook-Seiten reichweitenstarker deutscher Medien. *KriPoZ* 4 | 2021, S. 204.
23. *Korenke C., Kühne M.,* Die Verbreitung von Feindeslisten, *NK* 2022, Heft 4, 457-475.
24. *Kubiciel M.,* Schriftliche Fassung der Stellungnahme in der Öffentlichen Anhörung des Ausschusses für Recht und Verbraucherschutz des Deutschen Bundestages zu dem: a) BT-Drs. 19/28678, b) Änderungsantrag der Fraktion der AfD vom 14.5.2021, c) BT-Drs. 19/28777.
25. *Kubiciel M., Großmann S.,* Doxing als Testfall für das Datenschutzstrafrecht, *NJW* 2019, Heft 15, 1050, Schriftleiter: Tobias Freudenberg, Beethovenstraße 7b, 60325 Frankfurt a. M., veröffentlicht 04.04.2019.
26. *Lohse K.,* Stellungnahme zu dem Thema Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten.
27. *Patz J.,* (K)eine Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen Feindeslisten? – Leerstellen und ungenutzte Handlungspotenziale anlässlich des neu geschaffenen Straftatbestandes, *KriPoZ* 4 | 2021, S. 223.
28. *Rackow P.,* §126a in Heintschel-Heinegg, Bernd von / Kudlich, Hans: *BeckOK StGB*, 61. Edition, 2024, Verlag C.H.Beck oHG, München.
29. *Referentenentwurf des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz (BMJV),* Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten.
30. *Thiesen M.,* Wie hoch ist der Preis der Anonymität? – Haftungsrisiken beim Betrieb eines TOR-Servers, *MMR* 2014, Heft 12, 803.
31. *Verband der Beratungsstellen für Betroffene rechter, rassistischer und antisemitischer Gewalt (VBRG),* Stellungnahme zum "Entwurf eines Gesetzes zur Änderung des Strafgesetzbuches – Verbesserung des strafrechtlichen Schutzes gegen sogenannte Feindeslisten".
32. *Werner R.,* Gefährdendes Verbreiten personenbezogener Daten; Gefährdungsdelikt. In Weber, Klaus *Rechtswörterbuch*, 32. Edition 2024. Verlag C.H.Beck oHG, München.
33. *Woerlein A. H.,* Digitale Gewalt durch Doxing – praktische Relevanz und unzureichende rechtliche Sanktionsmöglichkeiten, *MMR-Aktuell* 2024, Heft 15, IRI – Panorama zum Recht der Digitalisierung, Datenwirtschaft und IT, 1437.
34. *Wuttke S.,* Stellungnahme zur Vorbereitung der Anhörung des Ausschusses für Recht und Verbraucherschutz des Deutschen Bundestages am 19. Mai 2021.
35. *Zimmermann F.,* §126a StGB in Satzger, Helmut/Schluckebier, Wilhelm/Werner, Reik: *StGB-Kommentar*, 6. Aufl. 2024, Verlag: Carl Heymanns, Hürth.
36. <https://mtavari.tv/news/171574-aktsiis-darbevashi-monacile-modzalade> [25.06.2025].